საქმე №სპ-09-17 **22 ნოემბერი, 2017 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე)
მოსამართლეები: ნუგზარ სხირტლაძე (მომხსენებელი),
ვასილ როინიშვილი

სხდომის მდივანი - მ. გ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ. ა.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 26 ივნისის №079/16 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.03.2017წ. გადაწყვეტილებით, მოქალაქე ბ. წ-ს განცხადების საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ დ. ა-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ დ. ა-ს, საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, 2016 წლის აგვისტოში მიმართა. ბ. წ-ს, როგორც მოპასუხე მხარის ინტერესები ადვოკატს უნდა წარმოედგინა ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში. საჩივრის ავტორის წინააღმდეგ სს „---------- ბანკს“ შეტანილი ჰქონდა სარჩელი, რომლითაც ბ. წ-ს უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ ცნობას, თანხის დაკისრებას და იპოთეკით

დატვირთული ქონების რეალიზაციას მოითხოვდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის თანახმა იყო გადაეხადა სესხის მხოლოდ ძირი თანხა, თუმცა ხანგრძლივვადიანი გადახდის გრაფიკით, ხოლო მოთხოვნას დარიცხული პროცენტების ნაწილში არ ცნობდა, ვინაიდან ბანკი სესხის ძირ თანხასთან ერთად ითხოვდა მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო სარგებელსაც. ადვოკატმა კლიენტს აუხსნა, რომ სს „---------- ბანკის“ მოთხოვნა ხანდაზმული იყო და მას ხანდაზმული სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნა ვერ ექნებოდა. 08.09.16წ. სასამართლოს მთავარი სხდომის პირველ ნახევარში ადვოკატმა გააჟღერა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, თუმცა სხდომის მეორე ნახევარში ადვოკატმა საკუთარი ინიციატივით სარჩელი სრულად ცნო, რაც კლიენტთან არ შეუთანხმებია. ამავე სხდომაზე ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარს ამბობდა და კლიენტს ყოველგვარი განმარტების გარეშე მოაწერინა ხელი განცხადებაზე. საჩივრის ავტორის მითითებით, იგი ვერ მიხვდა, რა ჩაიდინა ადვოკატმა და მოგვიანებით გაერკვა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა აღნიშნულ საპროცესო მოქმედებებს.

ადვოკატი დ. ა. ეთიკის კომისიის სხდომებზე არ გამოცხადებულა, მიუხედავად მრავალი სატელეფონო შეტყობინებისა და არც წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოუდგენია.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის დასკვნით, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა, დ. ა-მა ხაშურის რაიონული სასამართლოს 08.09.16წ. მთავარ სხდომაზე მოპასუხე მხარის - ბ. წ-ს ინტერესების წარმოდგენისას სს „---------- ბანკის“ სარჩელის გამო მიმდინარე დავაში სრულად ცნო ბანკის მოთხოვნები კლიენტთან შეთანხმების გარეშე, ასევე უარი განაცხადა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმარტების გარეშე კლიენტს ხელი მოაწერინა აღნიშნულ განცხადებაზე, ადგილი ექნება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევას.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 26.06.17წ. გადაწყვეტილებით ადვოკატი დ. ა. ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა შესახებ“ კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი ნორმების დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ადვოკატ - დ. ა-სა და მოქალაქე - ბ. წ-ს შორის 2016 წლის აგვისტოში დაიდო ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ადვოკატს კლიენტი უნდა წარმოედგინა ბანკთან ურთიერთობასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოში. 05.08.2016წ. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, თავდაპირველად, ბ. წ-ს ინტერესები წარმოადგინა ადვოკატმა მ. ხ-მ. სხდომა გადაიდო მხარეთა მორიგების მიზნით. მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა და 01.09.2016წ. მოსამზადებელ სხდომაზე ბ. წ-ს ინტერესებს უკვე წარმოადგენდა ადვოკატი დ. ა.. ამავე სხდომაზე

ადვოკატმა აღნიშნა, რომ 20.08.2016წ. ბანკს მორიგების მიზნით მისთვის მისაღები პირობებით წერილობით მიმართა, თუმცა მოდავე მხარეებს შორის მორიგება ვერ შედგა. ადვოკატის განმარტებით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუდიტის ჩატარებით მოპასუხე შეძლებდა ბანკისათვის შეეთავაზებინა მორიგებისთვის მისაღები თანხა და ამ მიზნით დააყენა შუამდგომლობა მოსამზადებელი სხდომის გადადების შესახებ. სხდომა გადაიდო და ჩაინიშნა 08.09.2016წ.

08.09.2016წ. სასამართლოს სხდომაზე მოპასუხემ უარი თქვა მორიგებაზე, იგი ასევე არ დაეთანხმა ბანკის მოთხოვნას, მისთვის, როგორც უფლებამონაცვლისთვის, 32 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. ამავე სხდომის მეორე ნახევარში ადვოკატმა, დ. ა-მა სარჩელი სრულად ცნო და ბანკის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. ადვოკატს შესვენება არ მოუთხოვია კლიენტთან პოზიციის შესათანხმებლად ან სარჩელის ცნობის თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმარტების მიზნით, ხოლო სხდომაზე ადვოკატისა და თავად ბ. წ-ს განმარტებებიდან ჩანს, რომ მათ შორის აღნიშნული პოზიცია შეთანხმებული არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ 22.07.2016წ. სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მოპასუხე - ბ. წ. სარჩელს ცნობდა მხოლოდ სესხის ძირი თანხის ნაწილში, მაგრამ ადვოკატი არ იცნობდა ამ შესაგებელს, ვინაიდან იგი შედგენილი იყო სხვა ადვოკატის მიერ. ასევე, პაექრობის ეტაპზე ადვოკატმა, დ. ა-მა საკუთარი ინიციატივით, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, გამოაცხადა, რომ მხარეები არ გაასაჩივრებდნენ გადაწყვეტილებას, რასაც საფუძვლად სარჩელის სრულად ცნობა დაედო. საქმეში წარმოდგენილია განცხადება გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ, რაზეც ადვოკატი კლიენტთან ერთად ხელს აწერს.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ა-ს მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“. დარღვეულია ასევე, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი, რომლის შესაბამისად, „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ეთიკის კომისიის შეფასებით, 08.09.2016წ. სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმის ჩანაწერიდან დადგენილია, რომ მოპასუხე ბ. წ-ს ადვოკატმა სარჩელი სრულად ცნო და ბანკის სარჩელი დაკმაყოფილდა, მაშინ, როცა სხდომის ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ კლიენტი არ ეთანხმება ბანკის მოთხოვნას, მისთვის, როგორც უფლებამონაცვლისათვის, 32 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. სხდომის ოქმიდან ასევე დგინდება, რომ ადვოკატს შესვენება არ მოუთხოვია პოზიციის კლიენტთან შესათანხმებლად ან სარჩელის ცნობის თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმარტების მიზნით. სხდომაზე ადვოკატისა და კლიენტის განმარტებებიდან ჩანს, რომ მათ შორის აღნიშნული პოზიცია შეთანხმებული არ ყოფილა. სარჩელის ცნობის ინიციატივა სხდომის მიმდინარეობისას თავად მოსარჩელე მხარისგან წამოვიდა, მას შემდეგ, რაც დააზუსტა, რომ მორიგების

პირობები ბ. წი-სათვის მისაღები არ იყო და მორიგება ვერ შედგა. გარდა ამისა, პაექრობის ეტაპზე ადვოკატი საკუთარი ინიციატივით, კლიენტთან შეთანხმების გარეშე აცხადებს, რომ მხარეები არ გაასაჩივრებენ გადაწყვეტილებას და კლიენტთან ერთად ხელს აწერს განცხადებაზე.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატმა - დ. ა-მა არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების შესაბამისად და კლიენტთან შეთანხმებით. ბ. წ-ს ადვოკატთან არ შეუთანხმებია სარჩელის ცნობის შესახებ გადაწყვეტილება, არ აუხსნია მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, რის გამოც, ადვოკატის მხრიდან, დაირღვა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება. საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მოქმედებები, ასევე, უმოქმედობები წარმოაჩენდა მის ხედვას და უარყოფით, არაკვალიფიციურ დამოკიდებულებას პროფესიისადმი. მასში არ წარმოჩინდება კლიენტის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობის განცდა, დგინდება კლიენტისადმი ინფორმაციის მიუწოდებლობა და კლიენტთან კომუნიკაციის შეწყვეტა. ადვოკატთან კომუნიკაცია ეთიკის კომისიასაც გაუჭირდა. 2016 წლიდან მიმდინარე დისციპლინურ წარმოებაში ადვოკატი არ ჩაერთო. აღნიშნული ფაქტი ნათელს ჰფენს ადვოკატის პროფესიულ კორპორატიულ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც ვნებს კლიენტისა და საზოგადოებისადმი ნდობას, ეწინააღმდეგება პროფესიონალიზმს და უკავშირდება პროფესიის მიმართ თვითნებურ დამოკიდებულებას.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხიმგებლობის დაკისრებისას იმოქმედა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ა-ს სახდელის სახით უნდა დაკისრებოდა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - დ. ა-მა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 26.06.17წ. გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, ეთიკის კომისიამ გამოამჟღავნა კანონის უცოდინრობა, არ მიუთითა რწმუნებულების კანონიერებაზე, რა უფლება აქვს მინიჭებული რწმუნებულს და ასევე, არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მარწმუნებელი თვითონ ესწრებოდა სასამართლო პროცესს. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა - დ. ა-მა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ დ. ა-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის

კომისიის 2017 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებში მოქმედების, კლიენტის ნების შესაბამისად საქმიანობის, მოთხოვნა ეჭვს არ იწვევს. ამ ეთიკური სტანდარტის დაცვა ადვოკატის პროფესიული ქცევის იმპერატივია. დავას იწვევს აღნიშნული სტანდარტის დარღვევა ადვოკატის მიერ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამზადებელი სხდომის შემდეგ მხარეებს მიეცათ ვადა მორიგებისათვის, რის შემდეგაც საქმეზე ჩატარდა არაერთი სხდომა. ამდენად, მარწმუნებელს სავსებით საკმარისი დრო ჰქონდა, რათა გარკვეულიყო დავის არსში. სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, მოთხოვნის აღიარებას წინ უსწრებდა სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ მოთხოვნის აღიარებას შედეგად მოსდევს სახელმწიფო ბაჟის განახევრება, სასამართლოს მოწოდება მოპასუხე მხარისადმი დათანხმდეს ბანკის მიერ შემოთავაზებული მორიგების პირობებზე, ტექნიკური მიზეზით შესვენების გამოცხადება, რომლის განმავლობაშიც, ოქმში ასახული სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, მიმდინარეობდა მხარეებს შორის მოლაპარაკება. სხდომაზე ბანკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევაში ქონება მოპასუხეზე აღირიცხება და მას მიეცემა მისი რეალიზაციის შესაძლებლობა, ბანკი რამდენიმე თვის განმავლობაში არ მიაქცევს ქონებას იძულებით აღსრულებაზე და მისცემს მოპასუხეს უძრავი ქონების რეალიზებისა და დავალიანების ნებაყოფილობით დაფარვის შესაძლებლობას. აღნიშნულზე ადვოკატმა განაცხადა, რომ სამკვიდრო ქონება უნდა აღირიცხოს ბ. წ-ს სახელზე, ხოლო აღსრულებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღსრულება უნდა შეჩერდეს 6-7 თვით. ხსენებულ განცხადებაზე დაყრდნობით სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირველ ნაწილში მოპასუხემ სარჩელი ცნო. მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ რეალიზებული ქონება არ იქნება საკმარისი ვალის დასაფარად, დანარჩენ ნაწილში აღსრულება მიექცევა თავმდების ქონებაზე. ადვოკატის ეს განმარტება ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ თავდებობის ხელშეკრულების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ქონება არ იქნებოდა საკმარისი ვალის დასაფარავად, მისი დაფარვა ნ. ქურდაძეს (თავმდები) უნდა მოეხდინა. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, მოსამართლის შეკითხვაზე ცნობს თუ არა სარჩელს სრულად, ადვოკატმა განაცხადა, რომ „ასე გამოდის“. ამასთანავე დაამატა, რომ 32 000 აშშ დოლარის ნაწილშიც ცნობენ მოთხოვნას და ითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ მიქცევა.

პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი უნდა იყოს კლიენტის მრჩეველი და წარმომადგენელი, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატმა უნდა მიიღოს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად, ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება როგორც კლიენტის ნების გამოვლენა და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მარწმუნებელი ესწრებოდა პროცესს, განცხადება სარჩელის აღიარების შესახებ

მისი თანდასწრებით იქნა გაცხადებული. ბ. წ-ს აღნიშნულის საწინააღმდეგოდ განცხადება არ გაუკეთებია. სასარჩელო მოთხოვნის ცნობის შესახებ განცხადება, მისი შედეგები თავისი არსით ყოფით დონეზე მარტივად აღქმადია. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა ფაქტის (სსკ-ის 131-ე მუხ.), არამედ სარჩელის ცნობას (სსკ-ის 208-ე მუხ.), რომლის შინაარსი და შედეგი იმთავითვე სავსებით ცხადი იყო. ამდენად, მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მოპასუხის თანდასწრებით მოსარჩელის მოთხოვნის ცნობა, მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის სასარგებლოდ გაკეთებული განცხადება, სხდომაზე დამსწრე მარწმუნებლის დუმილი კონკლიუდენტურად გამოხატავს მარწმუნებლის თანხმობას მოთხოვნის ცნობაზე. მარტივი იყო აგრეთვე იმ ორწინადადებიანი წერილობითი განცხადების შინაარსის გააზრება, რომლითაც მოპასუხე დაეთანხმა სასამართლოს 08.09.16წ. გადაწყვეტილებას და უარი თქვა მის გასაჩივრებაზე. საერთოდ არ დასტურდება, რომ დ. ა-ს განცხადებებს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მართებულია იმის პრეზიუმირება, რომ ადვოკატი სარჩელის ცნობით გამოხატავდა მარწმუნებლის ნებას, ადვოკატის მიერ გაჟღერებული პოზიცია ემთხვეოდა მარწმუნებლის ნებას, მით უფრო, რომ მარწმუნებლის მიერ 01.09.16წ. გაცემული რწმუნებულება არ ანიჭებდა ადვოკატს სარჩელის ცნობის უფლებამოსილებას, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის თანახმად, მარწმუნებლის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული საგანმკარგულებლო უფლებამოსილებათა შორის ითვალისწინებდა დავის მორიგებით დასრულებას, შეთანხმების აქტის გაფორმებას და არა სარჩელის ცნობის უფლებამოსილებას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ სარჩელის ცნობა სასამართლოს მიერ თავად მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობად აღიქმებოდა. ოქმის თანახმად, სასამართლო დ. ა-ს განცხადებებს აღიქვამდა მოპასუხის განცხადებებად.

სადისციპლინო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეზე არ დასტურდება ადვოკატის მიერ მოპასუხის საწინააღმდეგო პოზიციის დაკავება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის დასრულების შედეგით უკმაყოფილო კლიენტს ყოველთვის მიეცემოდა შესაძლებლობა ადვოკატის მიმართ უკანასკნელის მიერ დავაზე გაჟღერებული პოზიციის სხდომაზე დამსწრე მარწმუნებელთან შეუთანხმებლობის გამო, დისციპლინური წარმოების დაწყების, ადვოკატის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების მიღწევის შესაძლებლობა.

კანონიერ ძალაში მყოფი 08.09.16წ. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხე ბ. წ-მა სარჩელი ცნო. ამ გარემოების გამო, მოპასუხეს სსკ-ის 49-ე მუხლის საფუძველზე ბანკის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი (1109,50 ლარი). სარჩელის ცნობა სახელდობრ მოპასუხის და არა მისი წარმომადგენლის მიერ დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებით, აღნიშნულის საწინააღმდეგოს დადგენა სადისციპლინო კოლეგიის მიერ ფაქტობრივად უტოლდება კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ამომწურავი შემთხვევების გაფართოებას, სადისციპლინო წარმოების მეშვეობით კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების გაუქმების დამატებითი საშუალების შემოღებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილებით მხარეებს განემარტათ სასამართლო აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა და ვადა. მოპასუხე ბ. წი-ს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, უფრო მეტიც, საქმეში დაცული 08.09.16წ. განცხადებით, რომელიც ხელმოწერილია მოპასუხისა და მისი წარმომადგენლის

მიერ, დასტურდება, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს 08.09.16წ. გადაწყვეტილებას №2/338-16 სამოქალაქო საქმეზე სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, მოსარჩელის წარმომადგენელი, მოპასუხე და მისი წარმომადგენელი დაეთანხმნენ და არ ასაჩივრებენ. განცხადების ტექსტის თანახმად, მხარეებმა თხოვნით მიმართეს სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე, სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით შემოფარგვლის შესახებ. ხსენებული განცხადება ცხადად ადასტურებს, რომ მოპასუხის ნება მისი წარმომადგენლის მიერ პროცესზე გაკეთებულ განცხადებასთან მიმართებაში სრულ თანხვედრაში იყო.

რაც შეეხება მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართ ადვოკატის პოზიციის შეცვლას, აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ არ დასტურდებოდა ბანკისათვის მოვალის გარდაცვალების ცნობის ფაქტი, ხოლო სარჩელი ბანკის მიერ აღიძრა კრედიტის გადახდის გრაფიკის ვადის დასრულების შემდეგ. სასამართლოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ადვოკატმა აღიარა ქონების მოპასუხის სახელზე აღრიცხვის მოთხოვნა იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ბანკის წარმომადგენელმა უარი განაცხადა უძრავი ქონების აღსრულების დაუყოვნებლივ მიქცევაზე, რითაც ბ. წ-ს მიეცემოდა უძრავი ქონების რეალიზაციის საშუალება. ადვოკატს არ უცნია მოთხოვნა დაუყოვნებლივი აღსრულების ნაწილში, ამასთანავე, ადვოკატმა სასამართლო სხდომის განმავლობაში, სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, არაერთგზის აღინიშნა, რომ რეალიზებული ქონების ღირებულებაზე ზევით დავალიანების ანაზღაურება დაეკისრებოდა თავდებს, სოლიდარულ მოვალეს. ცხადია, რომ მინდობილობის გაცემა, წარმომადგენლისათვის საგანმკარგულებლო უფლებამოსილების მინიჭება, კლიენტსა და წარმომადგენელს შორის ნდობაზე დამყარებული ფიდუციალური ურთიერთობის არსებობა, არ ათავისუფლებს წარმომადგენელს ვალდებულებისაგან იმოქმედოს მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება რომ ადვოკატი მოქმედებდა მარწმუნებლის ნების საწინააღმდეგოდ. საქმის მასალებით არ დასტურდება მარწმუნებლის და წარმომადგენლის პოზიციებს შორის სხვაობა, არ დასტურდება წარმომადგენლის მიერ სასარჩელო მოთხოვნების მოულოდნელად, მარწმუნებელთან შეუთანხმებლად ცნობა. სასამართლო სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სარჩელის ცნობაზე გამოცხადდა შესვენება, რომლის განმავლობაში მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ადვოკატის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, თუ ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, ასევე „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი ნორმების დარღვევა. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია ადვოკატის ბრალეული ქმედება, ბრალის ხარისხი წარმოადგენს კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის მიერ ასეთი შეფასება განხორციელდა არასრულად, რამაც ადვოკატის მიმართ სახდელის დაკისრება გამოიწვია. მოცემულ დისციპლინურ საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატისთვის დაკისრებული სახდელი (6 თვით უფლებამოსილების შეწყვეტა) არ არის დასაბუთებული და რელევანტური. დ. ა-ს მიმართ მანამდე რაიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გამოყენებული არ ყოფილა, არ დასტურდება მის მიერ რაიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 72-ე მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას (კანონის ანალოგია), სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ დაკისრების, დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების უკანონო გამოყენების შემთხვევაში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისთანავე სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მიიღოს ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული წარმოება ინკვიზიციურ საწყისებზე არის აგებული, შესაბამისად, ის გარემოება, რომ დ. ა. , გაფრთხილების მიუხედავად, არ გამოცხადდა ეთიკის კომისიის სხდომებზე, არ ადასტურებს საჩივრის ავტორის პრეტენზიის მართებულობას. ამასთანავე, ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიის სხდომებზე გამოცხადების მოთხოვნის უგულებელყოფა, სადისციპლინო პალატის სხდომებზე გამოუცხადებლობა, გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით კლიენტთან ურთიერთობის მოუგვარებლობა, რამაც მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნა გამოიწვია, ქმნის დისციპლინური ზემოქმედების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის საფუძველს. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი სრულად ჩამოთვლის ადვოკატთა მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების ერთ-ერთი სახეა ადვოკატისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ„ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 72-ე მუხლით, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ დ. ა-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 26 ივნისის №079/16 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ადვოკატ დ. ა-ს დაეკისროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს;

5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:	/მაია ვაჩაძე/
მოსამართლეები:	/ნუგზარ სხირტლაძე/
	/ვასილ როინიშვილი/